საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №24

2024 წლის 1 მაისი

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 23 აპრილის №07-322411420 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 მაისის სხდომის №04 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 აპრილის №32-3224114127 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 23 აპრილის №07-322411420 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ საფუძველზე

1. ქალაქ მარნეულში არსებული სახელწოდების არმქონე უსახელო ქუჩის სახელდება განხორციელდეს დანართი №1-ისა და თანდართული სიტუაციური რუკის შესაბამისად.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი ქმედების განხორციელება განკარგულების პირველი პუნქტის აღსასრულებლად.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან გიორგაძე

„დანართი 1“

მარნეულის მუნიციპალიტეტი: ქალაქი მარნეული

ა) ქალაქ მარნეულში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება	**შენიშვნა**
მე-11-ე ქუჩა	
მე-11-ე ქუჩის ჩიხი	

შენიშვნა: აღნიშნული დანართი განიხილება სიტუაციურ ნახაზებთან ერთად.